პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 181 (10267) | სამშაბათი, 2 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

მშვიდობისადმი მისწრაფება ყველა ხალხის უაღრესად მხურვალე მისწრაფებაა

ყველა ქვეყნის ხალხები კმაყოფილებით აღნიშნავენ თავიანთი მრავალი წლის იმ ღონისძიებათა შედეგებს, რომელთა მიზანია განმტკიცდეს მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება. მათმა დაუცხრომელმა ბრძოლამ მშვიდობისათვის თავისი პირველი ნაყოფი გამოიღო: ვერავინ ვერ უარყოფს იმას, რომ ახლა დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, რომელიც შვიდი წლის წინათ ჩაისახა მოწინავე საზოგადოდ და კულტურულ მოღვაწეთა ჯგუფის ინიციატივით, მძლავრი ძალა გახდა. მთავრობები და პარლამენტები, პოლიტიკური მოღვაწეები და სახელმწიფოთა ხელმძღვანელები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამ ძალას.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ომის საფრთხის თავიდან აცილების საქმეში. ამ მოძრაობამ განახორციელა ისეთი უდიდესი საერთაშორისო კამპანიები, როგორიც არის ხელმოწერის შეგროვება სტოკჰოლმის მოწოდებაზე ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ (1950 წელი) და მიმართვაზე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ (1951 წელი), რომლებსაც მხარი დაუჭირა მილიარდზე მეტმა ადამიანმა. ამ მოძრაობამ მოაწყო მსოფლიო კამპანია სადავო საერთაშორისო საკითხების მოსაწესრიგებლად მოლაპარაკების სასარგებლოდ (1953 წელი) და სხვები. ხალხთა ბრძოლას მშვიდობის დასაცავად ხერხიზული მნიშვნელობა ჰქონდა კორეასა და ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის საქმისათვის.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა, რომელიც ოვნისში გაიმართა, იმის ძლავრი დემონსტრაცია იყო, რომ მრავალ მილიონობით ადამიანი ურყევად ისწრაფვის დაიცვას მშვიდობის დიადი საქმე. ამ ასამბლეამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ მშვიდობისადმი მისწრაფება ყველა ხალხის უაღრესად მხურვალე მისწრაფებაა.

მშვიდობის მომხრეთა მოთხოვნები ნათელი და კონკრეტულია: სახელმწიფოებმა ხელი აიღონ ძალისა და სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკის განხორციელებაზე, შეწყვიტონ გამალებული შეიარაღება, თავიდან აიცილონ ატომური ომის მრისხანე საფრთხე. მშვიდობისმოყვარე ხალხები მოითხოვენ უზრუნველყოფილ იქნას ევროპის ყველა სახელმწიფოს უშიშროება, დამყარდეს ყველა ქვეყანას შორის მჭიდრო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა, გაერთიანდეს გერმანია როგორც მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ყოველგვარი სამხედრო კოალიციის გარეთ დარჩება, შენელდეს დაძაბულობა შორეულ აღმოსავლეთში და მშვიდობიანად მოწესრიგდეს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები დედამიწის ამ ნაწილში.

საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, შეესაბამება ხალხების ამ მოთხოვნებს და მათი მტკიცე მხარდაჭერით სარგებლობს. ხალხთა ბრძოლამ მშვიდობისათვის გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის ერთგვარი შენელება და შექმნა ხელსაყრელი პირობები გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი, რომელიც ივლისში გაიმართა და რომლის მუშაობასაც უდიდესი ყურადღებით ადევნებდა მთელი მსოფლიოს ყველა ხალხი, დიდმნიშვნელოვანი მობრუნება იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში. ამ თათბირზე ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა როგორც ოფიციალურ სხდომებზე, ისე არაოფიციალური შეხვედრების დროს პირადი კონტაქტი დაამყარეს ურთიერთშორის, გაუზიარეს ერთმანეთს აზრები საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მშვიდობისმოყვარე ხალხები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ თათბირის მთავარი ნიშანი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება იყო. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და უშიშროება, მიესალმა ჟენევის თათბირის დადებით შედეგებს, თათბირისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებას, მიუხედავად მათი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური სხვაობისა.

ჟენევის თათბირზე განხილულ საკითხებს შემდგომ განიხილავს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ოქტომბერში. ხალხები მტკიცედ მოითხოვენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირზე შემდგომი ნაბიჯი გადაიდგას გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მოწესრიგების გზაზე.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირის შედეგები აღფრთოვანებენ მშვიდობის მომხრეებს, რათა გააძლიერონ ბრძოლა წმიდა და სამართლიანი საქმისათვის. საფრანგეთის, იტალიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების ქალაქებსა და სოფლებში იმართება მრავალი მიტინგი და კრება, სადაც მშვიდობისათვის მებრძოლნი სახავენ ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ბოლო მოეღოს „ცივ ომს“. „მშვიდობისადმი მისწრაფება, — ბაზგასმით აღნიშნავს ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, — უძლიერესი მისწრაფებაა თანამედროვე ამერიკაში“. ამერიკელი ხალხის სურვილს — განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა სხვა ქვეყნების ხალხებთან, და კერძოდ საბჭოთა ხალხთან, მოწმობს ის თუ რა გულთბილად ხვდებიან ამერიკელი ფერმერები საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობს.

ინგლისელი ხალხის, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხალხთა სრული მოწონება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს ბრიტანეთის მთავრობის წინადადება — ეწვიონ ინგლისს მომავალი წლის გაზაფხულზე. დასავლეთის ქვეყნების საქმიანი წრეები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები სულ უფრო აქტიურად მოითხოვენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე მიღწეულ იქნება ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებანი, თუ ყველა, ვისზეც ეს დამოკიდებულია, ეცდება განახორციელოს ისეთი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება.

რაც შეეხება დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს, ისინი ამ დღეებში ახალი საქმეებით განამტკიცებენ თავიანთ განცხადებებს მშვიდობისადმი მისწრაფების შესახებ. მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი. ჟენევის თათბირზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, ილაპარაკა რა განიარაღების პრობლემაზე, აღნიშნა, რომ „კარგი დახაწყისი იქნებოდა, თუ ოთხი სახელმწიფო უკვე ახლა დათანხმდება მოახდინოს დემობილიზაცია თავისი სამხედრო კონტინგენტებისა, რომლებიც გაჰყავთ ავსტრიის ტერიტორიიდან ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, და შესაბამისად შეამცირებდა თავისი შეიარაღებული ძალების რიცხვს“.

ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა დასავლეთის სამმა სახელმწიფომ, რომელთა ჯარებიც იმყოფებიან ავსტრიის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა განახორციელოს მის მიერ შეტანილი ღონისძიება საკუთარი ჯარების მიმართ, რომლებიც ავსტრიიდან გამოიყვანს, რითიც მაგალითს უჩვენებს დანარჩენ სამ სახელმწიფოს. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა გ. უუკოვმა ბრძანება გასცა 1 ოქტომბრამდე გამოყვანილ იქნან ავსტრიიდან იქ განლაგებული მთელი საბჭოთა ჯარები საბჭოთა ტერიტორიაზე და ვადამდე დათხოვნილი იქნას საბჭოთა არმიის რიგებიდან შესაბამისი რიცხვი სამხედრო მოსამსახურეებისა.

უახლოესი მომავალი დაგვანახვებს, მიბაძავენ თუ არა ამ მაგალითს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები. ვფიქრობთ, რომ მათ ასეთ ნაბიჯს მიესალმებოდა საერთაშორისო საზოგადოებრიობა, მით უმეტეს, რომ ცნობები ავსტრიიდან გამოსაყვანი ამერიკელი ჯარების იტალიის ტერიტორიაზე შესაძლო გადაყვანის შესახებ, რომლებიც დღემდე ქვეყნდებოდა, მწვავე უკმაყოფილებას და საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს იტალიელ ხალხში.

მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა მოიწონა ახალი დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, რომლებიც შეიტანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე.

საბჭოთა ხალხი მიესალმება ამ წინადადებებს, და, კერძოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას — დაიდოს აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონის ქვეყნებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კოლექტიური მშვიდობის პაქტი, რომელიც შეცვლის დედამიწის ამ ნაწილში ამჟამად არსებულ სამხედრო ბლოკებს. საბჭოთა საზოგადოებრიობა კეთილგანწყობილად შეხვდა იმ ამბავსაც, რომ ჩინეთის მთავრობამ, რომელიც ისწრაფვის მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოს ტაივანის განთავისუფლების პრობლემა, განაცხადა, რომ მზად არის მოლაპარაკება დაიწყოს ტაივანის ადგილობრივ პასუხისმგებელ ხელისუფლებთან შესაბამის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელი ეს ღონისძიებანი იმის ახალ კონკრეტულ მაგალითს იძლევიან, თუ სინამდვილეში როგორ უნდა განხორციელდეს მშვიდობის პოლიტიკა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ხალხები მტკიცედ უჭერენ მხარს იმ მთავრობათა და ხელმძღვანელ მოღვაწეთა პოლიტიკას, რომლებიც გულწრფელად ესწრაფვიან მშვიდობას და ცდილობენ მის განმტკიცებას. ხალხის ნებას ანგარიში უნდა გავუწიოთ!

მშვიდობისათვის მებრძოლთა ძალები განუზომლად გაიზარდა, განმტკიცდა მათი ორგანიზებულობა და რწმენა მათი სამართლიანი საქმის გამარჯვებისადმი. შეაჯამებენ რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის შედეგებს, ხალხებს შეუძლიათ იამაყონ მიღწეული წარმატებებით. მაგრამ ხაშიში იქნება დავჯერდეთ მიღწეულს. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ აგრესიული ძალები ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებული, მათ მხოლოდ დროებით დაიხიეს უკან, აქა-იქ მიიმალნენ და განაგრძობენ თავიანთი ვერაგული ინტრიგების ქსელვას. ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა; ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა გამალებული შეიარაღება; ჯერ კიდევ არ არის აკრძალული ატომური იარაღი, მისი გამოცდა და წარმოება გრძელდება; ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის მშვიდობის საქმისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი — გერმანიის საკითხი და აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მთელი რიგი პრობლემები.

მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა. მას მით უფრო დიდი წარმატება ექნება, რაც უფრო ორგანიზებულად, მტკიცედ და გაბედულად იბრძოლებენ ყველა ქვეყნის ხალხები მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიადი და წმიდა საქმისათვის.

„პრავდის“ 1/VIII მოწინავე.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სსრ კავშირში ღი სან ჩო

1 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ღი სან ჩო იმასთან დაკავშირებით, რომ მან რწმენების სიგელები უნდა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. (საკდესი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის I ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის გაშლა, კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1955 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა — 105 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობისა—108 პროცენტით.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება მთელ რესპუბლიკაში 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 11 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა — 5 პროცენტით, რესპუბლიკური მრეწველობისა — 15 პროცენტით.

1955 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოშვებულია მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, ნაგლინი, მთლიანნაგლინი მილები, კირი, დახერხილი ხე-ტყის მასალა, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ნედლი აბრეშუმი, წინდის ნაწარმი, ზედა ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი, მაგარი ტყავსაქონელი, ლურსმანი, საწოლები, მომინანქრებული ჭურჭელი, საჭმელი მცენარეული ზეთი, ყველი, ხორცის პროდუქტები, კონსერვები, საკონდიტრო ნაწარმი, პურ-ფუნთუშის ნაწარმი, ჩაი, კონიაკი, შამპანური, ლუდი, პაპიროსი, საპონი და მრეწველობის სხვა ნაწარმი; გადაჭარბებით შესრულდა სამასალე მერქნისა და შეშის გამოზიდვის გეგმა.

II

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1955 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1955 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	111
აქედან:	
რესპუბლიკური მრეწველობა	111
რაიონული მრეწველობა	110
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო	111
ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის სამინისტრო	105
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	108
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	107
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	108
აქედან:	
რესპუბლიკური მრეწველობა	110
რაიონული მრეწველობა	106
საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭო	108

თუმცა საერთო პროდუქციის გეგმა შესრულებულია, მაგრამ სასურსათო საქონლის მრეწველობის, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის, სატყეო მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის (რაიონულ მრეწველობაში) სამინისტროებმა და საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭომ ვერ შეასრულეს ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა ნატურალური გამოხატულებით.

III

მეტმა წილმა მსხვილმა საწარმოებმა და ტრესტებმა შეასრულეს საერთო პროდუქციის და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა ნატურალური გამოხატულებით.

თუმცა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია, მაგრამ ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის ან ასორტიმენტის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს შემდეგმა საწარმოებმა და ტრესტებმა:

საკავშირო მრეწველობაში

ფეროშენადნობთა ქარხანამ, ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ, მანქანათმშენებელმა ქარხანამ „მაღაროელმა“, საავტომობილო ქარხანამ, ნავთობსარეწის სამმართველომ „საქნავთობმა“, ლიტოპონის ქარხანამ, პლასტმასის ქარხანამ, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ, კავკასიის არამადნეული მრეწველობის ტრესტმა, ჩხარის ფილის ქარხანამ, გორის ბამბეულის კომბინატმა, ცხიმეულკომბინატმა, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, შამპანური ღვინოების კომბინატმა, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, ლოკომოტივშემკეთებელმა ქარხანამ.

რესპუბლიკურ მრეწველობაში

სამტრესტმა, ლუდისა და ლიმონათის ტრესტმა, საქართველოს მინერალური წყლების ტრესტმა, საქართველოს ყველ-კარაქის მრეწველობის ტრესტმა, მსუბუქი მრეწველობის მთავარმა სამმართველომ, საფეიქრო მრეწველობის მთავარმა სამმართველომ, მცხეთის ასანთის ფაბრიკამ, თბილისის ფანერის ქარხანამ, ახალდაბის ავეჯის ფაბრიკამ, თბილისის ავეჯის კომბინატმა, ხაშურის აგურის ქარხანამ, საქტეშენიტმა.

საერთო პროდუქციისა და ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის გამოშვების დარგში წლის პირველი ნახევრის გეგმა ვერ შეასრულეს შემდეგმა საწარმოებმა:

საკავშირო მრეწველობა

	საერთო პროდუქციის 1955 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
ტყიბულქვანახშირის ტრესტი	99
ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური	98
ქარხანა „დაზგა“	95
ენგურის ქაღალდის კომბინატი	95
ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა	94
ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი	93
საქართველოს ცემენტის ქარხანა	91
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	89
ქუთაისის მინის ტარის ქარხანა	72
თბილისის კერამიკული კომბინატი	38

რესპუბლიკური მრეწველობა

ცხაკაიას კირის ქარხანა	92
ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშა“	90
ლანჩხუთის აგურის ქარხანა	89
ზუგდიდის სატყეო მრეწველობის მეურნეობა	87
ბათუმის ფანერის ქარხანა	87
ზუგდიდის აგურ-კრამიტის ქარხანა	82
ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა	80

IV

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1955 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
მარგანეცის სასაქონლო მადანი	101
ქვანახშირი	100,5
კოქსი	100,5
ფოლადი	100,4
თუჯი	82
ნაგლინი	106
მთლიანნაგლინი მილები	102
ელექტროენერგია	105
სატვირთო ავტომობილები	107
ტუმბოები ატხ — 10	91
ექსკავატორები	79
ლითონსაჭრელი ჩარხები	100,9
საქსოვი დაზგები	104
კულტივატორები	101
მოწყობილობა მეღვინეობისათვის:	
ჰიდრავლიკური წნეხები	100,0
ჰორიზონტალური ტუმბოები ნ — 11	100,0
ცემენტი	91
შიფერი	93
აგური	97
აქედან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	100,9
კრამიტი	73
აქედან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	96
კირი	105
აქედან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	104
დახერხილი ხე-ტყის მასალა	114
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	133
სამასალე მერქნის გამოზიდვა	106
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	113
შეშის გამოზიდვა	111
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	104
ქაღალდი	94
სასკოლო რვეულები	100,0
ბამბა	96
ბამბის ქსოვილები	100,7
შალის ქსოვილები	102
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	104
აბრეშუმის ქსოვილები	102
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	102
წინდის ნაწარმი	102
სათეთრეულე ტრიკოტაჟი	91
ზედა ტრიკოტაჟი	114
ფეხსაცმელი	104
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	104
მაგარი ტყავსაქონელი	102
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	103
რბილი ტყავსაქონელი	100
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	99,5
პიანინოები და როიალები	101
საშენი ლურსმანი	104
საწოლები	102
ნავთურები	105
მომინანქრებული ჭურჭელი	105
ერბო-კარაქი	77
მარგარინის ნაწარმი	93
საჭმელი მცენარეული ზეთი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	106
ყველი	146
ხორცი	119
ძეხვეული (საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო)	103
კონსერვები	130
საკონდიტრო ნაწარმი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	106
პურ-ფუნთუშის ნაწარმი	107
მაკარონის ნაწარმი	100,6
ჩაი — პირველადი დამუშავება	126
ჩაი — მზა დაფასოებული	109
კონიაკი	104
ყურძნის ღვინო (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	99
შამპანური	105
ლუდი	105
უალკოჰოლო სასმელები (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	99
მინერალური წყლები	97
პაპიროსი	106
საპონი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	104

V

მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად იზრდება მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება.

შრომის ნაყოფიერების გეგმა შეასრულა საქართველოს სსრ ყველა სამრეწველო სამინისტრომ, რომლებშიც 1955 წლის პირველ ნახევარში მუშათა შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,6 პროცენტით გადიდდა.

შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა არ შეუსრულებიათ: ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველოს, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას, ცემენტის ქარხანას, ცელულოზ-ქაღალდის კომბინატსა და ზოგიერთ სხვა საწარმოს.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

დაჩბაზობა შვეიცარიის მისიაში

ეროვნული დღესასწაულის — კონფედერაციის დაარსების დღის გამო შვეიცარიის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა სსრ კავშირში ე. დე ჰალერმა 1 აგვისტოს გამართა დარბაზობა.

დარბაზობას დაესწრნენ ნ. ა. ბულგანინი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილენი ს. ა. ბორისოვი, ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი სერგიოპოლის ეპისკოპოსი ვასილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის I-ლი განყოფილების გამგე ა. ა. არუთინიანი, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარე პროფესორი გ. ა. მიტერევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოებისა და მისიების თანამშრომელნი. (საკდესი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის I ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროებმა 1955 წლის პირველ ნახევარში შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა. გასულ წელთან შედარებით თვითღირებულება შემცირებულია 3,9 პროცენტით.

თვითღირებულების შემცირების გეგმა ვერ შეასრულეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, ლითოპონის ქარხანამ, ქარხანა „დაზგამ“ და ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, ლოკომოტივშემკეთებელმა ქარხანამ, აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ და ზოგიერთმა სხვა საწარმომ.

სოფლის მეურნეობა

1955 წლის მოსავლის ნათესი ფართობები ჩვენს რესპუბლიკაში შარშანდელთან შედარებით გადიდდა. სიმინდი, თამბაქო, კარტოფილი და ბოსტნეული დაითესა და დაირგო მეტი, ვიდრე შარშან.

წელს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შარშანდელთან შედარებით უფრო ორგანიზებულად და უკეთეს აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარეს საგაზაფხულო თესვა. საგაზაფხულო კულტურები დათესილია მეტი, ვიდრე 1954 წელს. გადიდდა სიმინდის ნათესების ხვედრითი წონა მარცვლეული კულტურების ნათეს ფართობებში. მაგრამ სიმინდის თესვა კვადრატულ-ბუდობრივი წესით კოლმეურნეობებში ჩატარდა ნათესი ფართობის მხოლოდ ერთ მეოთხედზე.

უფრო მოკლე ვადებში წარმოებს სიმინდისა და კარტოფილის ნათესების დამუშავება. დამთავრდა შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირას ნათესების პირველი დამუშავება.

გაჩაღდა თივის აღების სამუშაოები. მაგრამ თიბვის სამუშაოთა ტემპი ჩამორჩება გასული წლის დონეს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა შარშანდელზე ადრე დაიწყეს მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1955 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობებისათვის შეასრულეს 11 პროცენტით მეტი სამუშაო, ვიდრე შარშან. სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა. 20 ივლისისათვის მოკრეფილია 34 პროცენტით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის. აპრილ-ივნისში ჩაის კრეფის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო გაშენების გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურებისათვის კვალსათბურებისა და სათბურების მშენებლობის და თამბაქოს სათბურების მშენებლობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

1955 წლის 1 ივლისისათვის გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში რამდენადმე გადიდდა ძროხის, ცხვრისა და თხის სულადობა. ღორის სულადობა გადიდდა 12 პროცენტით.

1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 ივლისამდე წინა სამეურნეო წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობებში მოწველილია 67 პროცენტით მეტი ძროხის რძე, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში — 15 პროცენტით მეტი. წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე კოლმეურნეობებში 71 პროცენტით გაიზარდა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა დაუშვეს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის გეგმის შესრულებაში. ჩამორჩენა იყო აგრეთვე მეცხოველეობის სადგომთა მშენებლობაში.

ბეცხოველეობის პროდუქტების დამზადება და სახელმწიფო შესყიდვა 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა: ხორცისა — 36 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 50 პროცენტით, კვერცხისა — 42 პროცენტით.

კაპიტალური მშენებლობა

საკავშირო-რესპუბლიკურმა და რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა კაპიტალურ დაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 101 პროცენტით, ხოლო საბინაო მშენებლობის გეგმა — 99 პროცენტით.

ჯერ კიდევ საკმარისად არ ხორციელდება სასკოლო მშენებლობა, თუმცა მშენებლობის ტემპი შარშანდელთან შედარებით გაძლიერდა. განათლების სამინისტრომ სასკოლო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა 82 პროცენტით შეასრულა. მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაში.

ცალკეულმა სამინისტროებმა კაპიტალურ დაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს შემდეგნაირად: ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 130 პროცენტით, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ — 121, კულტურის სამინისტრომ — 118, ვაჭრობის სამინისტრომ — 115, სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ — 115, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ — 108, წყალთა მეურნეობის სამინისტრომ — 108, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ — 105, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — 102, კავშირგაბმულობის სამინისტრომ—100,5, საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ — 99,2, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (საკუთარი მშენებლობა) — 91, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ — 85, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — 83, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ — 82, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ — 80, განათლების სამინისტრომ — 77 პროცენტით.

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მოიჯარე ორგანიზაციებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 91 პროცენტით. სამინისტრო ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებს სამშენებლო მექანიზმების არსებულ პარკს, სუსტად ნერგავს სამშენებლო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას. მშენებლობაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებს. სამინისტროს სამშენებლო ტრესტებიდან განსაკუთრებით ჩამორჩნენ გეგმის შესრულებაში ტრესტები № 3 (ქალაქი გორი) და № 6 (ქალაქი სოხუმი).

ტრანსპორტი

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) 1955 წლის პირველი ნახევრის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, აქედან ნავთობის და ნავთობპროდუქტების დატვირთვის გეგმა 103 პროცენტით, შავი ლითონების — 100,7 პროცენტით, შავი ლითონების ჯართის — 133 პროცენტით. მთლიანად ვერ შესრულდა ქვანახშირის, მარგანეცის მადნის, მინერალურ-საშენი მასალების, ქიმიური და მინერალური სასუქების, პურისა და ტრიკოტაჟის დატვირთვის გეგმა. 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გადიდდა 6 პროცენტით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა წლის პირველ ნახევარში ტვირთზიდვის გეგმა შეასრულა ტონობით — 113 პროცენტით, ტონაკილომეტრობით — 100,2 პროცენტით. ტვირთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 15 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გადიდდა.

საქონელბრუნვა

1955 წლის პირველი ნახევრის საცალო საქონელბრუნვის გეგმა საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეასრულეს 100 პროცენტით, აქედან საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 99,0 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა—107 პროცენტით, სსრკ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულეს 98 პროცენტით, მათ შორის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა — 97 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვის გეგმა სამომხმარებლო კოოპერაციამ შეასრულა 102 პროცენტით.

სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით მოსახლეობას გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით მიეყიდა მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი: შეკერილი ნაწარმი, რადიომიმღებები, ველოსიპედები, სარეცხი საპონი, ძეხეული, თევზი, თევზის კონსერვები, თამბაქოს ნაწარმი, მცენარეული ზეთი, მარგარინი, საკონდიტრო ნაწარმი.

რესპუბლიკის საკომეურნეო ბაზრებზე 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაყიდულია მეტი ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი, ღორის ხორცი, ფრინველი, ერბო-კარაქი, მცენარეული ზეთი, ბოსტნეული და ხილი.

კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა

საშუალო სკოლების, მათ შორის მუშა ახალგაზრდობის სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვი მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით 26 პროცენტით მეტია.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით სახალხო მეურნეობისათვის უშვებენ 18 პროცენტით მეტ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოდანაოგართა რაოდენობა 1955 წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 9 პროცენტით, მათ შორის სოფლად — 11 პროცენტით.

1955 წელს გრძელდებოდა მოსახლეობისაგმი სამეცნიერო დახმარების შემდგომი გაუმჯობესება. 1954 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა საავადმყოფო საწოლების რიცხვი.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი

ამა წლის 25-26 ივლისს გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი: „კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა „მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულებაში“. მოხსენება გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ნ. შელეპინმა.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებანი.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ დარაზმონ კომკავშირელები და ახალგაზრდობა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. კუბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნების მშენებლობაზე, დონბასის ქვანახშირის შახტებში სამუშაოდ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა წელს გაგზავნეს 50 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა. კომკავშირელთა და ახალგაზრდათაგან გაიზარდა წარმოების მრავალი ნოვატორი.

ამასთან ერთად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ცუდად მუშაობს იმ კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდობის შრომითი აქტივობის ამაღლებასთან, მის მონაწილეობასთან წარმოების შინა რეზერვების გამოძებნასა და გამოყენებაში, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვაში, ახალგაზრდა მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში. კომკავშირული ორგანიზაციები ურიგდებიან დიდ ნაკლოვანებებს ახალგაზრდობის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჯერ კიდევ ცოტა როდია ახალგაზრდა მუშები, რომლებიც ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს, უშვებენ წუნს მუშაობაში, აქვთ გაცდენები, ხოლო კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად გვერდს უვლიან ასეთ ფაქტებს. საწარმოთა ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში არადამაკმაყოფილებელია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა კომკავშირის მუშაობის სამრეწველო პროგრამად მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა ამაღლდეს კომკავშირული ორგანიზაციების როლი და აქტივობა საწარმოთა საწარმოო ცხოვრებაში, ყოველი ღონისძიებით დაეხმაროს მხარი კომკავშირელთა და ახალგაზრდათა ძვირფას თაოსნობას, რომ საჭიროა მეტი ზრუნვა ახალგაზრდა მუშების პოლიტიკური აღზრდისა და მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კარგად უნდა განუმარტონ ახალგაზრდობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება და ამ საფუძველზე გააჩაღონ აქტიური მუშაობა პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად ახალი მანქანების, ჩარხების, ხელსაწყოების, მოწყობილობის რაც შეიძლება მალე შექმნისა და დანერგვისათვის, ახალი ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის, მოწყობილობის ერთეულზე და საწარმოო ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრზე პროდუქციის მიღების გადიდებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით განუვითარონ ახალგაზრდა მუშებსა და შრომითი რეზერვების სასწავლებელთა მოსწავლეებს ინტერესი საბჭოთა, აგრეთვე უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესწავლისა და დაუფლებისადმი, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ახალგაზრდათა წინადადებებს, რომელთა მიზანია ახალი ტექნიკის რაც შეიძლება მალე ათვისება და დანერგვა.

ტექნიკური პროგრესისათვის კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ახალგაზრდა მუშების კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებამ. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ გააფართოონ ზოგადსაგანმანათლებლო საღამოს სკოლების, საწარმოო ტექნიკური სწავლების წრეებისა და კურსების, შრომის მოწინავე მეთოდების სკოლების ქსელი და გაუმჯობესონ მათი მუშაობა, ფართო პროპაგანდა გაუწიონ ახალგაზრდობაში ტექნიკურ ლიტერატურას.

პლენუმმა წინადადება მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ყველა ახალგაზრდა მუშის აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ისინი უკეთ უნდა მუშაობდნენ აგრეთვე ახალგაზრდათა კოლექტივების — ბრიგადების, ცვლების, უბნების შეჯიბრების მოწყობისათვის. ცდილობდნენ, რომ ისინი მოწინავენი იყვნენ შეჯიბრებაში. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეჯიბრებაში მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მოწინავე საწარმოო გამოცდილების გავრცელებასა და დანერგვას, იმას, რომ თვითეულ ახალგაზრდა მუშას დახმარება გაეწიოს წარმოების მოწინავეთა შრომის ხერხებისა და მეთოდების დაუფლებაში. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას „მოლოდაია გვარდიას“ დაეკალა გამოუშვას ლიტერატურა წარმოების ახალგაზრდა ნოვატორებზე.

პლენუმმა მოუწოდა კომკავშირულ ორგანიზაციებს ენერგიულად ჩაებან ბრძოლაში იმისათვის, რომ სისუფთავე და სანიმუშო წესრიგი დამყარდეს საწარმოებში და თვითეულ სამუშაო ადგილზე.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა წინადადება მისცა სამრეწველო საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მუშაობის შემდგომ გაჩაღებაში და ურჩია საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს მოაწყოს სამინისტროებთან ერთად ახალგაზრდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კონფერენციები მრეწველობის წამყვანი დარგების მიხედვით.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სერიოზულად გაუჯობესდეს მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მუშა ახალგაზრდობაში, განმტკიცდეს შრომის დისციპლინა, უფრო მეტი ზრუნვა იყოს ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებისათვის, გაძლიერდეს ხელმძღვანელობა სამრეწველო საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციებისადმი. კომკავშირული ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობდნენ იმისათვის, რომ თვითეულ ქალიშვილსა და ჭაბუკს ჩაუნერგონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, ამ მიზნით ფართოდ გამოიყენონ შრომის დადებითი მაგალითები, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის გმირული ტრადიციები.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოუწოდა საბჭოთა კავშირის კომკავშირელებს, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის მზადება.

პლენუმმა რწმენა გამოთქვა, რომ სამრეწველო საწარმოთა კომკავშირელები, ყველა ახალგაზრდა მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე აქტიურად ჩაებმება საყოველთაოსახალხო ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ტექნიკური პროგრესისათვის, სოციალისტური მრეწველობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

მისაღები გამოცდების პირველი დღე თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში

სახელმწიფო უნივერსიტეტში

I აგვისტოს დაიწყო გამოცდები სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წელს აქ 700 ადგილზე შემოტანილია 2.500-ზე მეტი განცხადება. ამრიგად, კონკურსი შარშანდელზე გაცილებით უფრო ნორმალური ხასიათისაა — 1 ადგილზე 3-4 კაცი მოდის. განცხადებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოტანილია რესპუბლიკის რაიონებიდან. ბევრი განცხადება შემოვიდა სვანეთიდან, აჭარის ასს რესპუბლიკიდან, აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთიდან, ჩერქეზეთიდან, დაღისტნიდან და სხვა მეზობელი მხარეებიდან.

რექტორატმა შეადგინა, სასტამბო წესით დაბეჭდა და ყველა გაჩოსაცდელს დაურიგა გამოცდების ცხრილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია გამოცდის მსვლელობის ზოგიერთი საგალდებულო წესიც.

უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე უგამოცდოდ უკვე ჩარიცხულია 75 ოქროსმედალოსანი. 200 ადგილზე ერთმანეთს ეცილება 314 ვერცხლისმედალოსანი, რომლებიც გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგნებში.

დიდი კონკურსია ფილოლოგიის, ისტორიის, ბიოლოგიის, ქიმიის, მექანიკა-მათემატიკის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და ფიზიკის ფაკულტეტებზე.

პირველ დღეს გამოცდები ყველა ფაკულტეტზე ჩატარდა სპეციალურ დისციპლინებში, მაგალითად, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა), ფიზიკის ფაკულტეტზე — ქიმიაში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ეურნალისტიკის სპეციალობაზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

გამოცდების პირველ დღეს გამოსაცდელებმა გამოამჟღავნეს დისციპლინირება, შეგნებულობა, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

მეცხოველეობის მომავალ სპეციალისტებთან

ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოვიდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებმაც გადაწყვიტეს მიიღონ სპეციალობა და მთელი თავისი ენერგია მოახმარონ მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას. ინსტიტუტში მიმდინარე წელს დიდი კონკურსია — 175 ადგილზე შემოსულია 849 განცხადება. განსაკუთრებით დიდი კონკურსია ვეტერინარული ფაკულტეტის ქართულ სექტორზე, სადაც 30 ადგილზე გამოცდებს აბარებს 363 კაცი. ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხა 37 ოქროსმედალოსანი.

ამ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ ინსტიტუტში აბარებენ მისაღებ გამოცდებს, ბევრია ჩვენი რესპუბლიკის ამ რაიონებიდან, სადაც მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია.

ინსტიტუტის რუსულ სექტორზე ქართველ ახალგაზრდებთან ერთად გამოცდებს აბარებენ ოთხმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ჭაბუკები და ქალიშვილები.

ინსტიტუტში მომზადებულად და ორგანიზებულად დაიწყო მისაღები გამოცდები. პირველ აგვისტოს გამოცდა იყო ქართულ ენაში (წერა), ბევრმა გამოსაცდელმა ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა გამოაჩინა.

გამოცდები წარმატებით მიმდინარეობს

ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ორგანიზებულად დაიწყო მისაღები გამოცდები. 375 ვაკანტურ ადგილზე გამოცდებს აბარებს 1.184 კაცი.

განსაკუთრებით დიდი კონკურსია რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე.

გამოცდები მოიწყო ქართულ და რუსულ ენებში (წერა), ქიმიაში, მათემატიკაში (წერა).

საგამოცდო კომისიის წინაშე წარსდგა ახალგაზრდა ქალი ლ. შარტავა, რომელმაც თბილისის რკინიგზის მუშა ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლა დამთავრა. ის წარმოებისაგან მოწყვეტლივ სწავლობდა, მუშაობდა მექანიკურ ქარხანაში. მისი პასუხი ქიმიაში სხარტი და ამომწურავი იყო, შეფასებაც მაღალი — „ფრიადი“ მიიღო. „ფრიადი“ შეფასება მიიღეს აგრეთვე თბილისის 50-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ე. არჩვაძემ, თბილისის 97-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ლ. გაიკომ, თბილისის 53-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ნ. ჯამგაროვამ და სხვ.

გამოცდები წარმატებით მიმდინარეობს.

ტექნიკური პროგრესის გზით

ჩვენი მძიმე ინდუსტრია ახალი ტექნიკით აღჭურავს მთელ სახალხო მეურნეობას და მის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც არის რკინიგზის ტრანსპორტი.

რკინიგზის მაგისტრალებზე უკვე გამოჩნდნენ ორსექციანი მძლავრი თბომავლები, რვაღერძიანი ელექტრომავლები, რომლებიც ორჯერ უფრო მეტი ტვირთამწეობისა არიან, ვიდრე ჩვენში დღემდე ცნობილი ელექტრომავლები. დაინერგა და ახლაც ინერგება მრავალი ახალი მექანიზმი, ტექნოლოგიური დანადგარი და აპარატურა.

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმძლავრესი სატრანსპორტო საწარმოა, სულ ამ ახალი ტექნიკით არის აღჭურვილი და უახლესი და რთული ლოკომოტივების შესაკეთებელ ბაზას წარმოადგენს.

წელს ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანას დიდი საწარმოო ამოცანების შესრულება დაეკისრა. ამ ამოცანებიდან შესრულებისათვის ბრძოლაში მისმა კოლექტივმა უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს. გასული წლის საწარმოო დავალების გადაჭარბებით განაღდებასთან ერთად წელს ქარხნის კოლექტივმა შეძლო რიტული მუშაობა, ექვსი თვის დავალება წარმატებით შესრულა, აითვისა ახალი, მძლავრი ელექტრომავლების შეკეთების ტექნოლოგია. მძლავრი ლოკომოტივების შეკეთების ამოცანამ აუცილებელი გახადა ქარხნის ახალი ტექნიკური აღჭურვილობის უნარიანად გამოყენება, შრომის ახლებურად მოწყობა. ამ საკითხს, როგორც ცნობილია, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

ლოკომოტივთა შეკეთების ყველაზე პროგრესულ მეთოდად ახლა მიჩნეულია სამუშაოების ნაკადურად მოწყობა. მაგრამ ნაკადის ასაწყობად საჭიროა სხვადასხვა დანადგარები, ამ დანადგართა განლაგება საწარმოო ოპერაციების განვითარების მიხედვით. ნაკადური მეთოდი მოითხოვს აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას, ხოლო ამ დარგში თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა ბოლო ხანებამდე ჩამორჩებოდა.

ახლა ეს ჩამორჩენა გამოსწორებულია. ქარხანაში მივიღეთ მძლავრი ხიდურა ამწეები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ლოკომოტივის ძარის, ურიკების და მთელი აწყობილი ლოკომოტივის ერთბაშად აწევა, რაც დიდად აადვილებს და აჩქარებს მის შეკეთებას.

ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებასთან ერთად შევუდექით შრომის ახლებურად მოწყობას. ვახორციელებთ ბრიგადების სპეციალიზაციას და მათს განლაგებას ნაკადების მიხედვით. სულ სამი ნაკადია მოწყობილი — ელექტრომავლების, თბომავლების და მოტორვაგონთა სექციების შესაკეთებლად. ბრიგადების სპეციალიზაციასთან ერთად შევქმენით სარემონტო სამუშაოთა შესრულებისას საჭირო სათადარიგო დეტალების მარაგი. ასეთი მარაგის შექმნამ და ამ მარაგის სისტემატურად შევსების პრაქტიკამ საუკეთესო შედეგი მოგვცა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად, გარდა არსებული ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენებისა, ფართოდ ვნერგავთ აგგალობრივ შემოსული რაციონალიზატორულ წინადადებებს. მაგალითად, ელექტრომანქანების საამქროში დავამონტაჟეთ ოთხსვეტიანი ჰიდრავლიკური წენი, რომლის საშუალებითაც ელექტრომანქანებისათვის ღუზის შეკეთება ან ახალი ღუზის გაკეთება ერთიორად დაჩქარდა, მოვახდინეთ ელექტრომანქანების საშრობი ღუმელების რეკონსტრუქცია ინჟინერების გ. ჭიარაქაძისა და ი. ვინიკოვის წინადადებათა მიხედვით, რითაც ამაღლდა მანქანების შეკეთების ხარისხი და მიიღწეულ იქნა ელექტროენერგიის საგრძნობი ეკონომია. გადავედით დეტალების დატვიფრვის წესით დამზადებაზე და ა. შ.

ახალი ტექნიკის სრული სიმძლავრით ათვისებას, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, დიდად უწყობს ხელს შრომის ახლებურად მოწყობა.

ა. მასხარაშვილი,
თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი.

ფართოეკრანიანი კინო მოსკოვში

28 ივლისს მოსკოვში გაიხსნა პირველი ფართოეკრანიანი სტერეოფონიური კინოთეატრი „სამხატვრო“. უჩვენეს კინოფილმები „მოსკოვი ღელასაწყლობს“, „სამხრეთის მზის ქვეშ“ და „საუცხოო ქალაქში“, რომლებიც გამოუშვა დოკუმენტალური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ. გასინჯვას დაესწრნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩვეულებრივ კინოთეატრებში თვალთახედვის არე შემოფარგლულია შედარებით მცირე ეკრანის ჩარჩოებით. ამ ეკრანზე ჩანს ქუჩის, მოედნის, პეიზაჟის და სხვ. მხოლოდ პატარა ნაწილი. ფართო ეკრანი აგანიერებს ამ ჩარჩოებს. ახალი ეკრანის განი 14 მეტრს აღწევს. იგი გაკეთებულია სპეციალური პლასტმასისაგან, რომელიც აძლიერებს გამოსახულების მკაფიობას.

ფართო ეკრანთან ერთად კინოს ეძლევა კიდევ ერთი ახალი თვისება — ხმის სტერეოფონიურობა. დარბაზში მყოფი ადამიანი ხმას ისმენს მარცხნიდან, მარჯვნიდან, სულ ახლოს, ან შორს ეკრანს იქით. ამას ითით აღწევენ, რომ ბგერის ჩაწერა ახლა ხდება არა ერთ ბგერითს გზაზე, არამედ ოთხზე. რეპროდუქტორი იდგმება არა მარტო ეკრანის აქეთ-იქით და ეკრანის უკან, არამედ თვით მაყურებელთა დარბაზშიც.

ფართოეკრანიანი კინო ჩვენს ქვეყანაში დიდად განვითარდება. ახლა მიმდინარეობს კინოთეატრ „ფორუმის“ გადაკეთება. მის შემდეგ ახალი ეკრანი გაკეთდება „დამკვრელში“, „მოსკოვში“ და მთელ რიგ სხვა კინოთეატრებში. მომავალ წელს მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში და ზოგიერთ საოლქო ცენტრში უნდა იმუშაოს 50-მდე ფართოეკრანიანმა კინოთეატრმა. მიმდინარეობს მზადება 20 ახალი შენობის აგებისათვის, რომლებშიც იქნება ფართოეკრანიანი დარბაზები, სადაც დაეტევა 1.000-3.000 კაცი.

ახლა მუშაობენ იმაზე, რომ მთელი რიგი დოკუმენტალური და მხატვრული ფილმები შექმნან ფართო ეკრანისათვის.

29 ივლისიდან ფართოეკრანიანი კინოთეატრი „სამხატვრო“ დაიწყებს ფილმების რეგულარულ ჩვენებას. (საკ.ინ.).

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობები პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. წელს 22.000-მდე ტონა სილოსის ტევადობის ორმოები უნდა ააგონ და თვითეულ ძროხაზე სულ მცირე 4 ტონა სილოსი დაამზადონ.

დაგვალებათა განაღდებისათვის შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა სოფელ დიდი სამსარის კოლმეურნეობა „კომკავშირელი". ამ კოლმეურნეობის წევრებმა მეცხოველეობისათვის ნატიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეობებს. შეჯიბრების ინიციატორმა კოლმეურნეობამ უკვე დაასილოსა 100 ტონა საკვები. ხარკოველ კოლმეურნეთა გამოცდილებისამებრ ამოთხარეს და მოაპირკეთეს 400 ტონაა ტევადობის სასილოსე ტრანშეა.

სამსარელთა პატრიოტულ მიმართვას მაშინვე გამოეხმაურნენ სოფელ კარწახის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ყოველდღიურად საკვებს დამზადების და სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოებს 200-ზე მეტი კოლმეურნე ასრულებს. ხარკოველთა და დნეპროპეტროვსკელთა გამოცდილების გამოყენებით აგებენ 500 ტონა სასილოსე ნასის ტევადობის ტრანშეას.

კარწახის კოლმეურნეობა წელს 1.200 ტონა სილოსს ამზადებს. მოკლე ხანში 350 ტონა საკვები დაასილოსეს.

სასილოსე ორმოებთან მაღალი წარმადობით მუშაობს ვაჩიანის მტს-ის მე-10 სატრაქტორო ბრიგადის სილოსსაჭრელი მანქანა, რომელსაც ტრაქტორისტი ვ. ბრცუიანი ბართავს. საკვებმომზადებელ ბრიგადაში ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ კოლმეურნე ქალები მ. მინასიანი, ჰ. მშეციანი, მ. კარაპეტიანი და ს. აბოვიანი. კოლმეურნეები თვითეულ ძროხაზე 5 ტონა სილოსის დამზადებას ითვალისწინებენ.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის გეგმის შესრულებაში თავი ისახელა სოფელ კარწახ-ფილიპოვკის კოლმეურნეობამ. აქ მაღალხარისხოვნად მოაპირკეთეს 200 ტონა საკვების ტევადობის ტრანშეა. ამით მიმდინარე წლის დავალება განაღდებულია.

მაგრამ მოწინავეთა მაგალითს არ იყენებენ და ზოგან ყურადღებას არ აქცევენ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობას, ორმოები შეუფერებელ ადგილას და დაბალხარისხოვნად ააშენეს. ცნობილია, რომ კაპიტალური სასილოსეები უნდა აიგოს ფერმების ახლოს, დამრეც რელიეფზე. მაგრამ ეს წესი დაარღვიეს სოფელ ოკამის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ფერმიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ვაკე მიწაზე ააგეს სასილოსე ტრანშეა. ნის ირგვლივ არ მოუწყვიათ წყალგამტარი თხრილი. ამიტომ მოსალოდნელია სილოსში წყლის შესვლა და საკვების გაფუჭება.

ასევე, ფერმიდან დიდი დაშორებით ააგო სასილოსე ორმო სოფელ სულდის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ.

შარშან სოფელ პრტენის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ ძროხაზე 0,8 ტონა სილოსი ჩადეს. საკვების უქონლობამ წველადობის შემცირება გამოიწვია. წელს დაგეგმილია 300 ტონა სილოსის დამზადება. ამ გეგმის შესრულება თვითეულ ძროხას მხოლოდ 3,5 ტონა წვნიანი საკვებით უზრუნველყოფს. საჭიროა წელს აშენდეს 100 ტონა სილოსის ტევადობის ორმო, მაგრამ ეს სამუშაო ჭიანურდება.

შარშან სოფელ ხოსპიოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ დიდძალი სილოსი დაამზადა. ამის შედეგად თვითეულ ძროხაზე 1.000 ლიტრის ნაცვლად 1.150 ლიტრი რძე მიიღეს. წელს რატომღაც შეასუსტეს მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ზრუნვა. ძველი სასილოსეები დანაგვიანებულია, ნაწილი მოუპირკეთებელია.

მურჯახეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში", გოგამენის მოლოტოვის სახელობის და დადეშის პოკრიშკინის სახელობის კოლმეურნეობებში დაგეგმილია 160-200-250 ტონა სასილოსე ორმოების მშენებლობა. აღნიშნულ კოლმეურნეობებში ამ სამუშაოს დაგვიანებით შეუდგნენ.

სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში ფართოდ უნდა დავნერგოთ პროგრესული მეთოდები, ჩამორჩენილები მოწინავეებს გავუთანასწოროთ.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. **სურათზე:** საქართველოს სს რესპუბლიკის უდაბნოს სამეცნიერო-საცდელი მეურნეობის მწყემსი ს. ლაფერაშვილი გამოფენის ტერიტორიაზე მნახველებს უჩვენებს ქართული ჯიშის ცხვრებს. ყოჩების ცოცხალი წონა უდრის 103-104 კილოგრამს, მატყლის ნაპარსი 6-7 კილოგრამს, დედაცხვრების წონა 68-72 კილოგრამს, მატყლის ნაპარსი 3,5-5 კილოგრამს.

ფოტო ლ. ველიკჟანინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ახალი თეთრპარკიანი აბრეშუმის ჭიის ჯიშები

განუზრელად იზრდება მოთხოვნილება მაღალხარისხოვან აბრეშუმის ქსოვილებზე და ამის შესაბამისად ფართოდდება აბრეშუმის მრეწველობა, რომელიც მზარდი რაოდენობით მოითხოვს აბრეშუმის პარკს.

საქართველოში გავრცელებულია აბრეშუმის ჭიის ყვითელი და თეთრი ჯიშები. ცრეწველობის მიერ პარკის გადამუშავების პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ თეთრი აბრეშუმის პარკი გაცილებით უკეთესი ხარისხის საქსოვ ძაფს იძლევა, ვიდრე ყვითელი პარკი. აბრეშუმის ყვითელი პარკისაგან მიღებული ძაფით ნაქსოვი პროდუქცია უფაცილდება საჭიროებს შემდგომ გადამუშავებას, რაც ადიდებს მის თვითღირებულებას. ამიტომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი თეთრპარკიანი აბრეშუმის ჭიის ჯიშის გავრცელება.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სანაძემ მრავალი წლის სასელექციო მუშაობის შედეგად გამოიყვანა წარმოებაში დასანერგავად თეთრპარკიანი აბრეშუმის ჭიის ორი სახეობის ჯიში, ე. წ. „კახური" და „თბილნიშ № 1".

ჯიში „თბილნიშ № 1" გამოყვანილია ზაფხულის პირობებში, ხოლო „კახური" ჯიში — გაზაფხულის პირობებში გამოკვებისათვის. „თბილნიშ № 1" ჯიში დანერგილია მეაბრეშუმეობაში 1948 წლიდან, ხოლო კახური თეთრპარკიანი ჯიში გამოცდაშია 1954 წლიდან.

კახური თეთრპარკიანი ჭიის ჯიშის ერთი კოლოფი თესლიდან საშარმოო პირობებში მიღებულია საშუალოდ 48 კილოგრამი ნედლი პარკი, რაც 10 კილოგრამით აღემატება წარმოებაში გავრცელებული სხვა ჯიშებისა და ჰიბრიდების მოსავლიანობას. უფრო მეტი პარკია მიღებული კახური ჯიშისაგან საქართველოს რაიონების საჯიშე უბნებში. 1954 წელს თელავის რაიონში ერთ კოლოფ თესლზე მიღებულ იქნა საშუალოდ 76.4 კილოგრამი პარკი, ხოლო ზესტაფონის რაიონში — 77 კილოგრამი.

* * *

ახალი მაღალპროდუქტიული აბრეშუმის ჭიის ჯიშები „იმერული" და „კოლხიდა" გამოიყვანა იმავე ინსტიტუტის თანამშრომელმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. ღვინეფაძემ.

ორივე ჯიში — „იმერული" და „კოლხიდა" გამოყვანილია გაზაფხულის გამოკვებისათვის. ეს ჯიშები სახელმწიფო ჯიშთა გამოცდაში მონაწილეობენ 1951 წლიდან.

1950-1954 წლებში იმერული ჯიშისაგან საშარმოო პირობებში ერთ კოლოფ თესლზე მიღებულ იქნა საშუალოდ 43,5 კილოგრამი ნედლი თეთრი პარკი, რაც წინათ გავრცელებული ჯიშებისა და ჰიბრიდების მოსავალს 5-9 კილოგრამით აღემატება. 1954 წელს ზესტაფონის რაიონში საჯიშე უბნებში ერთ კოლოფ თესლზე მიღებულ იქნა 66,8 კილოგრამი, ხოლო თელავის რაიონში — 76,9 კილოგრამი.

ეს მაღალპროდუქტიული წმინდა ჯიშები „კახური" და „იმერული" გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა საჯიშე უბნებში, ვიდრე საკოლმეურნეო საწარმოო პირობებში. ეს იმიტომ, რომ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ყველგან არ არის შექმნილი სათანადო აგროტექნიკური პირობები ჭიის გამოკვებისათვის და მოუგვარებელია ჭიის მოვლა-პატრონობა.

ამის გამო მეაბრეშუმე-მკვლევარების წინაშე დადგა ამოცანა წმინდა ჯიშებიდან გამოიყვანონ ისეთი ჰიბრიდი, რომელსაც ექნება მეტი გამძლეობა, არსებულ პირობებთან შეგუების უკეთესი უნარი და ამასთან საწარმოო პირობებში მოგვცემს მეტ პარკს. თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა ნ. სანაძემ და შ. ღვინეფაძემ წმინდა ჯიშებიდან — „კაკურიდან" და „იმერულიდან" გამოიყვანეს ძვირფასი თვისებათა მქონე ჰიბრიდი, რომელიც უკვე გავრცელებულია საქართველოს 12 რაიონის ჯიშთა გამოცდის უბნებში. ამ ახალი ჰიბრიდების ჯიშის ერთ კოლოფ თესლზე მიღებულია 47 კილოგრამი თეთრი პარკი, ანუ 4,7 კილოგრამით მეტი, ვიდრე წინათ ცნობილი საკონტროლო ჯიშებიდან.

კახური ჯიშის და მისი მონაწილეობით მიღებული ჰიბრიდების თესლი 1954 წელს გამოსაკვებად გადაეცემული იქო 5.885 კოლოფის რაოდენობით, ხოლო 1955 წელს გადაეცემულია — 10.000 კოლოფზე მეტი.

ვინაიდან საწარმოო პირობებში ჰიბრიდულმა თეთრპარკიანმა ჯიშებმა გვიჩვენეს აშკარა უპირატესობა როგორც გამძლეობის, ისე მოსავლიანობის მხრივ და ამავე დროს მოგვცეს მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი, გადაწყვეტილია წარმოებაში მასობრივად დანერგოს ეს ჰიბრიდული თეთრპარკიანი ჯიშები.

* * *

აბრეშუმის თეთრპარკიანი ჭიის ჯიშების მიღებით ახალი, საუკეთესო პერსპექტივები ისახება აბრეშუმსაქსოვი მრეწველობის შემდგომი გაუმჯობესებისა და აბრეშუმის მაღალხარისხოვანი ქსოვილების ასორტიმენტის გაფართოებისათვის. მრეწველობისათვის აბრეშუმის თეთრი პარკის მიწოდებით მნიშვნელოვნად გაადვილდება აბრეშუმის ქსოვილთა ქიმიურად დამუშავების ტექნოლოგია.

ახლა მთავარი ის არის, რომ დავჩქარდეთ ამ ახალი თეთრპარკიანი ჯიშების მასობრივად დანერგვა მთელ რესპუბლიკაში, სანამუშოდ დავაყენოთ კოლმეურნეობებში აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღების საქმე. ამისათვის საჭიროა კოლმეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჭიების მშენებლობას, მათს კარგად მოწყობას, თუთის ხის ბლანტაციების ფართობების გადიდებას.

ზ. ბასილაშვილი.

გავაუმჯობესოთ აღგილობრივი საბჭოების მუშაობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესეს მუშაობა ცაგერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებმა, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, სოფლების კეთილმოწყობის, სახალხო განათლებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში. სასოფლო საბჭოებმა მჭიდროდ შემოიკრიბეს აქტივი, რომლის მონაწილეობით წარმატებით წყვეტენ მნიშვნელოვან საკითხებს, იბრძვიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების პირნათლად განხორციელებისათვის.

საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა ცაგერის მშრომელთა დეპუტატების საბჭომ. საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებს დაწესებულ ვადებში იწვევენ. განსახილველი საკითხების მომზადებაში ფართოდ არის ჩაბმული საბჭოს აქტივი.

კარგად მუშაობს სადაბო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე აგრონომი კ. ღურჭუმალიძე). კომისია აქტივის ფართო მონაწილეობით საფუძვლიანად სწავლობს და სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე სისტემატურად აყენებს განსახილველად მნიშვნელოვან საკითხებს. მიმდინარე წლის მარტსა და ივნისში კომისიამ ცაგერისა და ჩხუტელის კოლმეურნეობებში შეისწავლა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი, რომელიც შემდეგ სესიის მსჯელობის საგანი გახდა. სესიამ დასახა ღონისძიებები, რომელთა განხორციელებისათვის კომისია აქტიურად იბრძვის.

ინიციატივას და აქტივობას იჩენენ სადაბო საბჭოს დეპუტატები. მაგალითად, ცაგერის სადაბო საბჭოს დეპუტატის ამხ. ს. ყურაშვილის წინადადებით გასულ წელს თვითდაბეგვრის თანხებიდან სოფლებში გვესოსა და ქვედა ცაგერში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სასმელი წყლით მშრომელთა უზრუნველსაყოფად.

კარგი მუშაობით გამოირჩევიან ლასურიაშის სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიები. სოფლის მეურნეობის კომისიამ (თავმჯდომარე გ. სვანიძე) შეადგინა შრომის ორგანიზაციის საკითხები დეხვირისა და ლასურიაშის კოლმეურნეობებში. გამოირკვა, რომ შრომისუნარიანი ყველა კოლმეურნე არ გამოდიოდა სამუშაოზე. ლასურიაშის და დეხვირის კოლმეურნეობათა გამგეობებს საწარმოო დავალებები არ მიუცია 12 შრომისუნარიანი კოლმეურნისათვის. საკითხი განხილულ იქნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე და აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოსწორდა. მუდმივი კომისიები აქტიურად მონაწილეობენ სესიების მუშაობაშიც.

ითვალისწინებდა რა ამომრჩეველთა მოთხოვნებს, ლასურიაშის სასოფლო საბჭოს განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ მ. გასვიანმა აღძრა საკითხი დეხვირში სკოლის ახალი შენობის აგების შესახებ. სასოფლო საბჭომ ეს საკითხი დააყენა რაიასბჭოს აღმასკომის წინაშე, რომლის გადაწყვეტილებით დეხვირში აგებულ იქნა სკოლის ახალი შენობა.

გასულ წელს ოყურეშის სასოფლო საბჭოს კარგი მუშაობისათვის მიეკუთვნა საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის და მშრომელთა დეპუტატების რაიასბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც ამჟამადაც ინარჩუნებს.

მაგრამ სასოფლო საბჭოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები. მაგალითად, აღვისა და ზუბის სასოფლო საბჭოებში არარეგულარულად იწვევენ სასოფლო საბჭოს სესიებს და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს. სხდომებსა და სესიებზე არ განიხილავენ სასოფლო საბჭოს მუშაობის ძირითად საკითხებს. ნაკლები ყურადღება ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. ამ სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები სუსტად მუშაობენ, არა აქვთ სამუშაო გეგმები და არ ეწევიან მასობრივ მუშაობას. განსაკუთრებით ეს ითქმის აღვის სასოფლო საბჭოს სპიკუჯეტო და საგზაო, აგრეთვე ზუბის სასოფლო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიებზე.

აღვის სასოფლო საბჭომ ვერ დარაზმა აქტივი სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოთა განსახორციელებლად. ამთაც აიხსნება, რომ გასულ წელს გათვალისწინებული მთელი რიგი სამუშაოები არ შეასრულებიათ. წელსაც იგივე მეორდება: არ ზრუნავენ სასოფლო კლუბის რემონტისათვის, წყაროების კეთილმოწყობისათვის და სხვ.

ცაგერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და სასოფლო საბჭოების აღმასკომები მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეს, მაგრამ არის ამ საქმისადმი არაგულისხმიერი, ბიუროკრატიული დამოკიდებულების ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, მშრომელთა დეპუტატების ცაგერის რაიასბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში მიმდინარე წლის 8 მარტს ვ. ჩარკვიანმა შეიტანა განცხადება საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ, მაგრამ განცხადების ავტორს 2 ივნისამდე პასუხი არ მიუღია. ამ განყოფილებაში არის პასუხის დაგვიანებით გაცემის სხვა შემთხვევებიც.

უკანასკნელი წლების მანძილზე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა რაიონის კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აშენებულია სამი სასოფლო ელექტროსადგური. 1956 წლისათვის დამთავრდება რაიონის მთლიანი ელექტროფიცირება.

რაიონის კოლმეურნე გლეხობამ დიდი მუშაობა გასწია როგორც რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების წესრიგზე მოსაყვანად. 1954 წლის საწარმოო დავალება შესრულებულ იქნა 120 პროცენტით. მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმაც გადაჭარბებით შესრულდა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ამჟამად რაიონში მუშაობს 11 კლუბი, 20 სამკითხველო, ორი საჯარო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი.

სულ უფრო იზრდება და ლამაზდება რაიონული ცენტრი დაბა ცაგერი. გასულ წელს დაბის კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 250 ათას მანეთზე მეტი; ქუჩების გაყოლებით დაირგო ათასობით მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარე, დაიდგა ლამპიონები და სხვ.

წარმატებით მიმდინარეობს დაბა ცაგერში საავადმყოფოს, რაიონის სამრეწველო კომბინატის, სატყეო მეურნეობის, კოოპკავშირის ადმინისტრაციული ორსართულიანი სახლების მშენებლობა. ეს შენობები მიმდინარე წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

რაიასბჭოს აღმასკომი, ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები, მთელი აქტივი სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ მოსავლიანობის გადიდებისათვის, შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის, კოლმეურნეობების სამეურნეო და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

ცაგერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭო და სასოფლო საბჭოები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

ვ. ჩაკვეტაძე.
ცაგერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ჩვენი ბრიგადა ამ დღეებში

თელავის რაიონის კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადა, რომელიც 30 კაცს აერთიანებს, ნაყოფიერად მუშაობს საკოლმეურნეო ნაგებობათა მშენებლობაზე.

ბრიგადამ აიგო მექანიზებული ფერმა, პირუტყვის სხვა სადგომები, უხეში საკვების შემამზადებელი ოთხსექციანი ნაგებობა. დაამთავრეს 570 ტონის ტევადობის სასილოსე ორმოების რემონტი.

წელს ჩვენი კოლმეურნეობა მიზნად ისახავს ერთისამად მეტი საკვები დაასილოსოს შარშანდელთან შედარებით. გათვალისწინებულია ჩაედოთ 1.800 ტონა სილოსი, აქედან 500 ტონა ნედლი ტარო. საამისოდ საჭირო იქნება 1.000 ტონის ტევადობის ნაგებობათა მშენებლობა. ბიზანშეწონილად ჩავთვალეთ ავაგოთ მოპირკეთებული ტრანშეები, რადგან ისინი შედარებით იაფი ჯდება და მშენებლობაც იოლია. მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. მოსაპირკეთებლად ვიყენებთ ადგილობრივ საშენ მასალას. ბრიგადა ადგილზე ეზიდება ქვას, ალგურს, კირს, თიხას, ქვიშას და ხე-ტყეს.

სამშენებლო ბრიგადა დასილოსების დაწყებამდე კოლმეურნეობას ჩააბარებს მოპირკეთებულ ტრანშეებს.

მ. კორინთელი,
კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადის ბრიგადირი.

ბოლოდროინდელი

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დროის ფარგლები

საგაზაფხულო გამოცდებმა გვიჩვენა, რომ ქარელის რაიონის მთელმა რიგმა სკოლებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ამჟამად სახალხო განათლების მუშაკები დგანან სერიოზული ამოცანის წინაშე — წარმატებით მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის. ჩვენს რაიონში აღრიცხულია პირველ კლასში მისაღები ბავშვები, დაკომპლექტებულია კლასები. მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გაიგზავნა 44 მასწავლებელი. უკვე შეძენილია 22.000 მანეთის სხვადასხვა ინვენტარი, შემოზიდულია სახელმძღვანელოები და რვეულები.

წარმატებით მიმდინარეობს რაიონის სკოლების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება.

კაპიტალური რემონტი დამთავრებულია სოფელ დირბის, ავლევის სამუალო, ატოცის და აბისის რვაწლიან სკოლებში. რემონტი დასასრულს უახლოვდება ქარელის, აგარის საშუალო, ბრეძის და ფცის რვაწლიან სკოლებში. მიმდინარე რემონტი გაუკეთდა საღოლაშენის, კეხოჯვრის, ხბანოს და სხვა რვაწლიან სკოლებს.

არის ნაკლოვანებანიც. დაწყებითი სკოლების შეკეთებაში სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ გვერძინეთის (თავმჯდომარე ამხ. ხაბალოვი) და ავლევის (თავმჯდომარე ამხ. გ. თედეშვილი) სასოფლო საბჭოები, რომლებსაც ჯერაც არ დაუწყიათ რემონტი.

დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლების შენით უზრუნველყოფას. ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქარელის, რუისის საშუალო, კეხოჯვრის, ატოცის, აბისის, ბრეძის და აბანოს რვაწლიან სკოლებში, სადაც შეშა მომარაგებულია საჭირო რაოდენობით. მაგრამ ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმერხევის, ხრეთისა და სხვა სასოფლო საბჭოები.

რაიონის სახალხო განათლების მუშაკები მაქსიმალურად გამოვიყენებთ დარჩენილ დროს და ყოველ ღონეს გიხმართ იმისათვის, რომ ახალ სასწავლო წელს სრული მზადყოფნით შეხვდეთ.

ბ. დაბრუნდაშვილი,
ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.

უზრუნველვყოთ სკოლები სახელმძღვანელოებით

წელს მაიაკოვსკის რაიონში კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს ორ სასკოლო შენობას, ხოლო მიმდინარე რემონტი — 29 შენობას. 20 ივლისისათვის მიმდინარე რემონტი გაკეთებული ჰქონდა 14 სკოლას. მთლიანად რეკონსტრუირებულ იქნა წოთელეხევის საშუალო სკოლა, რომელსაც დამატებით მიუშენდა 6 საკლასო ოთახი.

სასკოლო ინვენტარი წელს მნიშვნელოვნად შეივსო. შეძენილია 68 მერხი, 25 დაფა და 47 მაგიდა. ამასთან შეკეთდა 600 მერხი, 38 დაფა, 54 მაგიდა, 61 სკამი, 15 კარადა და სხვ. შეძენილი და სკოლებში მიტანილია 500 კუბმეტრი შეშა.

სასკოლო კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო 8 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღებით.

სახალხო განათლების განყოფილებამ მომავალი სასწავლო წლისათვის უკვე დააკომპლექტა კლასები და მოსწავლეთა შემადგენლობა. გათვალისწინებულია გაიხსნას 27 პირველი კლასი.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი სახელმძღვანელოების შემოტანა. ჯერჯერობით რაიონში შემოტანილია 4.825 ცალი ახალი სახელმძღვანელო. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით სახელოსნოების მოწყობის მხრივ. 5 საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ არ გაუხსნიათ სახელოსნო.

შეუწყნარებლად ჭიანურდება სოფელ ობჩის საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთება.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას.

ბ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები პიონერთა განაკეგის მუშაობაში

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა ბავშვთა ბედნიერი და სამაგალითო ცხოვრებისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ბავშვები იზრდებოდნენ სიცოცხლით სავსე, ჯანსაღ და მხნე ადამიანებად.

ზაფხლის პერიოდში მრავალი ათასი ბავშვი ისვენებს საქართველოს თვალწარმტაც მიდამოებში საუკეთესოდ მოწყობილ პიონერთა ბანაკებში.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ყველა პიონერთა ბანაკის მუშაობა როდი უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მათ წინაშეა დასმული ბავშვთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაშლისა და შინაარსიანი დასვენების მოწყობისათვის.

ამ დღეებში საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამწმა და ბიუროზე განიხილა საკითხი ზოგიერთი პიონერთა ბანაკის მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ მთელ რიგ პიონერთა ბანაკებში ადგილი აქვს უხეშ დარღვევებს, როგორც აღმზრდელობითი მუშაობის მხრივ, ისე სამეურნეო ხაზით.

შემოწმებათ აღმოჩნდა, რომ გეოლოგიურსაძიებო სამუშაოების მუშათა პროფკავშირის ბორჯომის ბანაკში (ყოფილი უფროსი ვ. თევზაძე, უფროსი პიონერხელმძღვანელი შანველიშვილი), ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის მცხეთის ბანაკში (უფროსი დ. გამგებელი, უფროსი პიონერხელმძღვანელი ა. იგითხანოვი), სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კოჯრის პიონერთა ბანაკში (უფროსი ს. ქაროსანიძე, ყოფილი უფროსი პიონერხელმძღვანელი რუხაძე), სარეწო კოოპერაციის სურამის ბანაკში (ყოფილი უფროსი ა. ელენტი, უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. თელია) მეტად დაბალ დონეზე დგას აღმზრდელობითი მუშაობა, ადგილი აქვს სახელმწიფო სახსრებისა და პროდუქტების გაფლანგვას და მითვისებას, ყალბი დოკუმენტების შედგენას.

აღნიშნული ბანაკების ტერიტორიების უმრავლესობა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მცხეთისა და ბორჯომის ბანაკებში ელემენტარული პირობები არ არის შექმნილი აღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგანიზაციისა და ბავშვთა შინაარსიანი დასვენებისათვის.

სუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს აღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად სურამისა და კოჯრის ბანაკებში.

ბანაკის ხელმძღვანელობა არ ზრუნავს საბანაკო ცხოვრების სათანადოდ მოწყობისათვის. ეგზიდებით ბავშვებისადმი უყურადღებობის შეუწყნარებელ ფაქტებს. ბორჯომის ბანაკში შემოწმების დროს არ იცოდნენ სად იმყოფებოდა 11 პიონერი. ბანაკში არ დგებოდა მორიგეობის ჟურნალი.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი (თავმჯდომარე გ. ძიძიგური) და კავკასიის ლითონსაძიებო სამუშაოთა ჯგუფური პროფკომი (თავმჯდომარე შ. სალდაძე) სრული უპასუხისმგებლობით მოეკიდნენ მცხეთასა და ბორჯომში პიონერთა ბანაკების გაჯანსაღ საქმეს. მცხეთის პიონერთა ბანაკში ბავშვებს იღებდნენ მიმდინარე რემონტის დროს და ელემენტარული პირობებიც არ იყო შექმნილი ბავშვთა დასვენებისათვის.

ბორჯომის პიონერთა ბანაკში პირველ ღღეებში ბავშვებს იატაკზე ეძინათ, ხოლო ამჟამად ერთ საწოლზე ორ ბავშვს უხდება ძილი. ეს იმის შედეგია, რომ კავკასიის ლითონსაძიებო სამუშაოთა ჯგუფურმა პროფკომმა გადადა კონტინგენტი: 90-ის ნაცვლად 120 ბავშვი გაგზავნა ბანაკში. სასადილო და სამზარეულო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ავადმყოფობა. ბანაკში არ ჰყოფნით თეფშები და სხვა ჭურჭელი, რის შედეგადაც ბავშვებს სამ კვლად კვებავენ და მთელი დღე იკარგება საკმლის მიღებისათვის.

შემოწმებით დადასტურდა, რომ პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა დაარღვიეს დადგენილება ბავშვთა ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ, რის შედეგადაც ბანაკებში ბევრია 17-18 წლის „პიონერი".

პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით არ შეიკერდნენ ბანაკებისათვის კადრების შერჩევას. ამის შედეგად ბანაკის ხელმძღვანელობაში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ პირადი გამორჩენით იყვნენ დაინტერესებულნი. სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის კოჯრის პიონერთა ბანაკის უფროსმა ს. ქაროსანიძემ და ბეხპალტერმა ტ. გიგიბერიძემ 39 საგზურზე ყალბად აღნიშნეს პიონერთა გამოცხადების დრო. პირველ ღღეს 38 კაცზე ზედმეტად იყო გამოწერილი პროდუქტები, რაც საწყობში არ დაუბრუნებიათ. ნაწილ საგზურებზე სრულიად არ იყო აღნიშნული ბანაკში პიონერთა გამოცხადების დრო. უსაგზუროდ კვებაზე აყვანილი იყო თანამშრომელთა 12 ბავშვი. აქ, როგორც წესი, საგზურებზე არ აკეთებდნენ აღნიშვნებს ბანაკიდან ბავშვის წასვლის შესახებ.

მცხეთის ბანაკის სამზარეულოს შემოწმების დროს აღმოჩნდა ვაშლისათვის მიღებული პროდუქტების დანაკლისი. აღსანიშნავია, რომ აქ არც ერთ საგზურზე აღნიშნული არ იყო ბავშვთა გამოცხადების დრო. ამის გამო თითქმის ყველა ბავშვი კვებაზე აყვანილია ბანაკს გახსნის პირველი ღღიდანვე, მაშინ როცა ბევრი მათგანი 2-3 ღღის დაგვიანებით მოვიდა.

ცუდად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა და პროდუქტების განაწილებისა და მითვისების შემოხვევებია ფართო მოზმარების საგნების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუდაუთის ბანაკში რაიონში გახსნილ მისრის პიონერთა ბანაკში (უფროსი შ. ხუნდაძე, უფროსი პიონერხელმძღვანელ

დარბაზობა სსრ კავშირის ლონდონის საელჩოში

ლონდონი, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის ლონდონის საელჩოს დარბაზობა გამართა იმის გამო, რომ ინგლისში იმყოფება საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დელეგაცია. სტუმრები მიიღეს დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა ი. ა. ბენედიქტოვმა და სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა. დარბაზობაზე იყვნენ ინგლისის მიწათმოქმედების, თევზჭერისა და სურსათის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, ბრიტანეთის საბჭოს (ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა ინგლისში საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, რათა „ხელი შეუწყონ სხვა ხალხებთან ცოდნისა და იდეების გაზიარებას"), ფერმერთა ეროვნული კავშირის, სხვადასხვა სავაჭრო ფირმისა და საწარმოთა წარმომადგენლები.

სტუმრებმა დიდი ინტერესით ნახეს დოკუმენტალური ფერადი ფილმი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ და მხატვრული ფილმი „რომეო და ჯულიეტა".

თათბირმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობა სსრ კავშირის ბელგრადის საელჩოში

ბელგრადი, 31 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაციის მომავალი გამგზავრების გამო სსრ კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ვ. ა. ვალკოვმა გუშინ გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ დელეგაციის მთელი შემადგენლობა ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კრების თავმჯდომარის ვ. ბაკარიჩის მეთაურობით, აგრეთვე საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე მ. პიადე, საკავშირო სახალხო მჯდომარის მოადგილე რ. ჩოლაკოვიჩი, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სიმიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის წევრი ო. კარაბეგოვიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალური მდივანი ი. ვილფანი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ს. პრიცა, სერბიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ბელიჩი, ბელგრადის უნივერსიტეტის რექტორი ჯურიჩიჩი და სხვა პირნი.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მოსკოვს გამოემგზავრა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია

ბელგრადი, 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიწვევით ბელგრადიდან მოსკოვს გაფრინდა იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის საკრებულოს თავმჯდომარე ვ. ბაკარიჩი.

ზემონის აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს: იუგოსლავიის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარემ მ. პიადემ, საკავშირო სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სიმიჩმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა იუგოსლავიაში ვ. ა. ვალკოვმა და სსრ კავშირის ბელგრადის საელჩოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

გამგზავრების წინ იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ვ. ბაკარიჩმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„როგორც თქვენ იცით, ჩვენ საბჭოთა კავშირში მივდივართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიწვევით. ჩვენ მიგვიწვია. რომ ეს ვიზიტი კარგი ფორმა ურთიერთ უნდობლობის აღმოსაფხვრელად და აზრთა გაცვლისა და უკეთესი ურთიერთობის დამყარებისათვის. დელეგაციის წევრები ძალიან კმაყოფილი არიან, რომ მონაწილეობას იღებენ ამაში".

ფინეთის პრეზიდენტის პაასიკივის განცხადება

სტოკჰოლმი, 31 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „დაგენსნიუჰეტერი" ბეჭდავს თავისი კორესპონდენტის საუბარს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ პაასიკივთან.

შეეხო რა ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, პაასიკივმ თქვა: „ფინეთისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანია და ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი იქნება ის, რომ მას კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან. ყველა შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთთან, რომლებშიც კი უკანასკნელი 250 წლის განძილზე ჩართულ იქნა ფინეთი, უბედურებით დამთავრდა ჩვენი ქვეყნისათვის, მაშინ როცა თუ რუსებს მოლაპარაკებაზე ეხებოდით, ვახერხებდით მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი შედეგებისათვის მიგვეღწია... საგარეოპოლიტიკური უშიშროება ყველაზე მნიშვნელოვანია ყველა ხალხისათვის. და მას სავსებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფინეთისათვის. უკანასკნელმა წლებმა დაგვანახვა, რომ თუ ეს უშიშროება გვაქვს, დანარჩენი ყოველივე მოგვარდება. ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან მტკიცედ გაუმჯობესდა..."

ეენეკეს თათბირის შედეგების შესახებ პაასიკივმ განაცხადა: „მჯერა, რომ შესაძლებელია გაუმჯობესდეს ატმოსფერო საერთაშორისო პოლიტიკაში".

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მომავალი მოლაპარაკებისათვის

ვაშინგტონი, 30 ივლისი. (საკდესი). პრესკონფერენციაზე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ჯონსონი 30 ივლისს ნიუ-იორკიდან ჟენევაში გაფრინდება, რათა შეხვდეს ჩინეთის დელეგაციას ამერიკა-ჩინეთის მოლაპარაკებაზე.

დაიხურა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესია

პეკინი, 31 ივლისი. (საკდესი). გუშინ პეკინში დაიხურა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესია, რომელმაც თავის გადაწყვეტილებებში ასახა 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის ნება და მისწრაფება — სოციალიზმის საფუძვლები აიშენოს თავის ქვეყანაში.

საბოლოო სხდომაზე საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ.

შემდეგ ჩინეთის სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის შესახებ და შეიტანეს მასში შესწორებანი. პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღების შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ეს გეგმა არის პროგრამა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ბრძოლისათვის, რასაც ჩინელი ხალხი აწარმოებს გარდამავალი პერიოდის ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად, მშვიდობიანი ეკონომიური და კულტურული მშენებლობის გეგმა და რომ ამ გეგმის განხორციელება საფუძველს ჩაუყრის ჩინეთში სოციალისტურ მშენებლობასა და სოციალისტურ გარდაქმნებს.

სესიამ მოიწონა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის ლი სიან-ნიანის მოხსენება 1954 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება — დამტკიცდეს ჩინეთის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება. სესიამ აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება მდინარე ხუანხეზე ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსური მშენებლობის გეგმის შესახებ და მოიწონა სამხედრო ვალდებულების კანონის საბოლოო ტექსტი.

სესიამ ერთსულოვნად მოიწონა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის მუშაობა, რომელიც მან პირველსა და მეორე სესიებს შორის შეასრულა.

ჩინეთის პრესა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის შედეგების შესახებ

პეკინი, 31 ივლისი. (საკდესი). ჩინეთის პრესა დღეს ფართო კომენტარს უკეთებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიის შედეგებს, რომელიც გუშინ დაიხურა.

გაზეთი „ენენინენიბაო" მოწონავე სტატიაში წერს, რომ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიამ დიდი ერთსულოვნება გამოიჩინა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხების განხილვისა და გადაჭრისას. ერთსულოვნება გამოხატავს 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის მჭიდრო ერთიანობას და დარაზმულობას, მის ურყევ ნებასა და მისწრაფებას აშენოს და დაიცვას თავისი დიდი სამშობლო. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც სესიამ მიიღო, აღნიშნავს გაზეთი, განზოგადებაა რესპუბლიკის მიღწევებისა და გამოცდილებისა განვლილი რამდენიმე წლის მანძილზე და კონკრეტული გეგმა ჩინელი ხალხის ძლევამოსილი წინსვლისა სოციალიზმის გზით.

ეხება რა ჩინელი ხალხის ამოცანებს მშვიდობიანი ეკონომიური მშენებლობის გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, „ენენინენიბაო" მოუწოდებს ჩინეთის მშრომელებს მტკიცედ იბრძოლონ მომავლისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შეისწავლონ მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა, გადაჭრით აღკვეთონ იმპერიალისტთა და ჩანკაიშელთა აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობა.

ეხება რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ, „ენენინენიბაო" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინელ ხალხს უყვარს მშვიდობა და მშვიდობიანი მშენებლობის განხორციელებისათვის ესაჭიროება მშვიდობიანი ვითარება. სწორედ ამიტომ ჩინელი ხალხი გადაჭრით მოითხოვს მტკიცედ დაიცვან ჟენევის შეთანხმებანი ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ, მოითხოვს განხორციელდეს კორეის მშვიდობიანი გაერთიანება, ჩინეთისა და იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაცია. ჩინელი ხალხი განსაკუთრებით დაინტერესებულია ტაივანის რაიონში დაძაბული მდგომარეობის ლიკვიდაციით და იმედი აქვს, რომ ეს საკითხი, აგრეთვე სხვა სადავო საკითხები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანდათანობით გადაიჭრება ორივე ქვეყნის მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთა რანგის წარმომადგენლებს შორის, რომელიც 1 აგვისტოს იწყება ჟენევაში, უნდა იყოს მომზადება ორივე ქვეყნის მოლაპარაკებისათვის უფრო მაღალ დონეზე.

გაიხსნა ახალგაზრდობის V მსოფლიო ფესტივალი ვარშავაში

ვარშავა, 1 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ვარშაველები სიხარულითა და სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ მსოფლიოს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალზე მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ქალაქის ერთ-ერთ რაიონში ერთმანეთს შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის 3 ათასი დელეგატი. მათ ერთსულოვნად მიიღეს დეკლარაცია, რომ გერმანელი ახალგაზრდობა ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება როგორც გერმანიის ერთიანი დელეგაცია.

შუადღისას ფესტივალის მონაწილენი შეეკრიბნენ ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლის დიდებული შენობის მოედანზე. 108 ქვეყნის დელეგაციები (ზოგიერთი დელეგაცია ჯერ კიდევ გზაშია) ყოლონებად დაეწყვნენ და სიმღერითა და მუსიკით გაემართნენ ათი წლისთავის სტადიონისაკენ ფესტივალის გახსნის ზეიმზე.

საღამოსასწაულად მორთულ სტადიონზე ფესტივალის საზეიმო გახსნას დაესწრო 70 ათასზე მეტი მაყურებელი.

ზეიმზე მოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბიერუტი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაკადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის მარშალი კ. როკოსოვსკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები. მოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, ვარშავაში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, აგრეთვე 600-ზე მეტი უცხოელი ჟურნალისტი.

სრულ 16 საათზე ფანფარების ხმა ფესტივალის მონაწილეებს აუწყებს პარადის დაწყებას. მთავარი გვირაბიდან მთავრობის ტრიბუნის პირდაპირ გამოდიან ბედროშეები. მათ მოაქვთ ფესტივალის ემბლემა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ალმები, უამრავი ცისფერი ალამი. მათ მოჰყვებიან ახალგაზრდათა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრები. შემდეგ იწყება ახალგაზრდობის დელეგაციათა მსვლელობა.

მსვლელობის მონაწილენი მღერიან სხვადასხვა სიმღერას, ცეკვავენ, გაისმის მუსიკა, ერთსულოვანი შეძახილები: „მშვიდობა!", „მეგობრობა!", „ერთობა!".

სტადიონზე მყოფნი ძხურავალე ტაშით ხვდებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას. მის შემადგენლობაშია 730 ქალიშვილი და ჭაბუკი. მოდის საფრანგეთის ახალგაზრდობა. ამ კოლონის მეთაურთა შორის არის ფრანგი ხალხის სახელგანთქმული გმირი რაიმონდი დიენი.

მოდის ესპანელი ახალგაზრდობის ჯგუფი. ჯგუფში არიან ჭაბუკები, რომელნიც პირველად ჩამოვიდნენ უშუალოდ ესპანეთიდან.

ინპონის დელეგაცია შედგება ახალგაზრდათა 18 ორგანიზაციის 95 წარმომადგენლისაგან. დელეგაციას მოაქვს თეთრი დროშა, რომელსაც იაპონურ და ინგლისურ ენებზე აწერია: „ბიროსიმა არასოდეს აღარ უნდა გაიმეორდეს!".

სტადიონზე ქუხს ოვაცია და ყველა ენაზე გაისმის მისალმების შეძახილები, როცა სტადიონის გზაზე გამოჩნდა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია.

ფესტივალის მონაწილეთა პარადს ამთავრებს პოლონეთის ახალგაზრდობის დელეგაციის სვლა. მას მხურვალედ და დიდხანს მიესალმებიან მაყურებლები და უცხოელი მეგობრები. პოლონელი ახალგაზრდობა ღირსეულად შეხვდა ფესტივალს. ფესტივალის აღსანიშნავ შრომითს შეჯიბრებაში 2.300 ათასზე მეტი ახალგაზრდა პოლონელი პატრიოტი მონაწილეობდა.

საზეიმო პარადი დამთავრდა. ფესტივალის მოწაფილეთ სიტყვით მიმართა ახალგაზრდობის მე-5 მსოფლიო ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ ბრუნო ბერნინმ.

ჩვენ, თქვა მან, სხვადასხვა სოციალური სისტემის, სხვადასხვა კულტურის, სხვადასხვა ტრადიციის წარმომადგენლები ვართ. მაგრამ ყველას გვაერთიანებს და ჩაგვაგონებს საერთო მისწრაფება მშვიდობისადმი, მეგობრობისა და ბედნიერებისადმი. ყველა ჩვენი განსხვავების მიუხედავად, გულით ჩვენ ახლო ვართ ერთმანეთთან.

ჩვენ აქ ჩამოვედით მთელი მსოფლიოდან და გამოვთქვამთ მთელი მსოფლიოს ინდებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კიდევ უფრო განვამტკიცებთ მეგობრობის კავშირს, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს, ჩვენს ერთობას მშვიდობისათვის, კაცობრიობის ნათელ მომავლისათვის ბრძოლაში.

პოლონეთის მთავრობის და მთელი პოლონელი ხალხის სახელით ფესტივალის მონაწილეთ მიესალმა პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი. მან რწმენა გამოთქვა, რომ ახალგაზრდობა თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს მშვიდობის დიდ საქმეში.

ჰაერში აფრინდა მტრედების გუნდი.

მაგრამ აი ტრიბუნებზე კვლავ გაისმის ტაში. შეკრებილნი მიესალმებიან ახალგაზრდობის ჯგუფს, რომელიც მოიტანა ფესტივალის აღსანიშნავი საერთაშორისო ესტაფეტი. კომიტეტის თავმჯდომარე ბრუნო ბერნინი გახსნილად აცხადებს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალს მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

კვლავ გაისმის ფანფარების ხმა. მაღალ ანძაზე ფრიალებს ფესტივალის ალამი. გაისმის დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნის საზეიმო ჰანგები. ჰიმნს მღერის ათეულ ათასობით მეგობარი მსოფლიოს ყველა ენაზე. დღესასწაული სტადიონზე დამთავრდა პოლონელი ახალგაზრდობის გამოსვლებით. მწვანე მინდორში მაყურებელთ თვალთა ოსტატობა უჩვენეს პოლონელმა ტანმოვარჯიშეებმა და მოცეკვავეებმა.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ატომის საკითხზე მოლაპარაკებისათვის

ვაშინგტონი, 31 ივლისი. (საკდესი). 29 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოკალეობის ამსრულებელმა ბარბურმა სსრ კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულს ამერიკის შეერთებულ შტატებში ს. სტრიგანოვს გადასცა შეერთებული შტატების მთავრობის პასუხი საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტაზე ატომის ენერგიის შესახებ საერთაშორისო საგენტოს საკითხზე, ნოტაზე, რომელიც 18 ივლისს მოსკოვში გადაეცა შეერთებული შტატების დროებით საქმეთა რწმუნებულს.

ფხენიანში ჩავიდა საბჭოთა მსახიობების ჯგუფი

ფხენიანი, 30 ივლისი. (საკდესი). დღეს ფხენიანში ჩამოვიდა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფი. იგი მონაწილეობას მიიღებს კორეა-საბჭოთა მეგობრობის ერთთვიურში, რომელიც იმართება საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების ათი წლისთავის გამო. ჯგუფის შემადგენლობაში არიან: რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ნ. შპილერი, ვიოლონისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ა. გოროხოვი, ტაჯიკეთის სსრ სახალხო არტისტები ბ. მაღლიანოვა და აშურა ნასიროვა, პიატნიცკის სახელობის რუსული ხალხური სახელმწიფო გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფი და სხვ. საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფს მეთაურობს ა. ა. პუზინი.

საბჭოთა მსახიობებს აეროდრომზე შეხვდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კორეული ხელოვნების მოღვაწეები. საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს მიესალმა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურისა და პროპაგანდის მინისტრის მოადგილე ტენ იური.

კორეაში გაიხსნა საბჭოთა ჰოსპიტალი

ფხენიანი, 31 ივლისი. (საკდესი). ფხენიანში გაიხსნა საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის ახალი ჰოსპიტალი — დიდი სამკურნალო, რომელიც აღჭურვილია პირველხარისხოვანი სამედიცინო მოწყობილობით.

ჰოსპიტალის საზეიმო გახსნას დაესწრნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები კიმ ირ სენი, კიმ დუ ბონი, ცოი ენ გეკი, პაკ ჩონ ოკი, ხონ მინ ხი, ნამ ირი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულიფლებიანი ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. ივანოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოთა მეთაურები, კორეის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიტინგზე გამოსულებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისათვის მიძღვნილი ძვირფასი საჩუქრის გამო.

საბჭოთა ფანკერ „ჭუაფსეს" მეზღვაურები პეკინში ჩავიდნენ

პეკინი, 31 ივლისი. (საკდესი). პეკინში ჩამოვიდა საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს" ეკიპაჟის 29 მეზღვაური, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან. როგორც ცნობილია, ეს ტანკერი უკანონოდ მიიტაცა სამხედრო გემმა ერთ წელიწადზე მეტი ხნის წინათ კუნძულ ტაივანის სამხრეთით გაშლილ წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები.

პეკინის ვაგზალში საბჭოთა მეზღვაურებს შეხვდნენ სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. მ. ლომაკინი, საბჭოთა კავშირის პეკინის საელჩოს და სხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები, ჩინეთის მეზღვაურთა პროფკავშირის ხელმძღვანელობის და სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის წარმომადგენლები. შემხვედრებმა ყვავილების თაიგული მიართვეს საბჭოთა მეზღვაურებს.

თბილისიდან გაემგზავრა პოლონელ ჟურნალისტთა დელეგაცია

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს „გაზეტა ჰომორსკაა" მთავარი რედაქტორი ჰენრიკ ცუკერი.

გამგზავრების წინ თბილისის ჟურნალისტებმა დარბაზობა გამართეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრესის მუშაკთა და აქ მყოფ იუგოსლავიის ჟურნალისტთა ჯგუფის პატივსაცემად. დარბაზობას, რომელმაც გულთბილი მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა, დაესწრნენ რესპუბლიკური გაზეთების, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს — საქდესის, ჟურნალების პასუხისმგებელი თანამშრომლები. დარბაზობამ დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

31 ივლისს პოლონელი ჟურნალისტები მოსკოვს გაემგზავრნენ (საქდესი).

თბილისიდან გაემგზავრა იუგოსლავიის ჟურნალისტთა ჯგუფი

საქართველოში 2 დღეს იყო იუგოსლავიის ჟურნალისტთა ჯგუფი გაზეთ „ოსლობოჟდენეს" დირექტორის რადოვან პაპიჩის (სარაევო) მეთაურობით. იუგოსლავიის ჟურნალისტები გაეცნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას.

თბილისის ჟურნალისტებმა იუგოსლავიის პრესის წარმომადგენელთა და საქართველოს დედაქალაქში სტუმრად მყოფი პოლონეთის ჟურნალისტების პატივსაცემად დარბაზობა გამართეს. დარბაზობას დაესწრნენ რესპუბლიკური გაზეთების, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს — საქდესის, ჟურნალების პასუხისმგებელი თანამშრომლები. დარბაზობამ დიდი გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

31 ივლისს იუგოსლავიის ჟურნალისტთა ჯგუფი თბილისიდან ტაშკენტს გაფრინდა. (საქდესი).

თბილისში ჩამოვიდნენ კანადის სლავური გაზეთების რედაქტორები

1 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა კანადის სლავური გაზეთების რედაქტორთა დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის მოწვევით.

დელეგაციის წევრები საქართველოში რამდენიმე დღეს დაჰყოფენ. მათ განზრახული აქვთ გაეცნონ რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. (საქდესი).

სურათზე: მარცხნივ — სპორტსმენთა პარადი, მარჯვნივ — ქალთათვის 100 მეტრზე რბენის ფინიშთან.

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

საქართველოს პროფკავშირთა პირველი საზაფხულო სპარტაკიადა მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი საინტერესო ასპარეზობაა. რესპუბლიკური სპარტაკიადას წინ უძღოდა სარაჟონო, საქალაქო და საოლქო, აგრეთვე პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების სპარტაკიადები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ათეულ ათასობით სპორტსმენმა.

საქართველოს პროფკავშირთა პირველი საზაფხულო სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნა თბილისის „დინამოს" სტადიონზე 31 ივლისს. გაიმართა სპორტსმენთა პარადი. ალაში აღმართეს პროფკავშირთა უძლიერესმა სპორტსმენებმა.

შეჯიბრების დასკვნითს ნაწილში ერთმანეთს პირველობას ეცილებიან პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებებისა და საწარმოთა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენთა გუნდები 1.100-მდე კაცის შემადგენლობით. პროგრამაშია მძლეოსნობა, ველოსპორტი, ცურვა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი.

მძლეოსნურ ბილიკებზე

საინტერესოდ მიმდინარეობდა მძლეოსანთა ასპარეზობა „დინამოს" სტადიონზე. პირველ ღამეს გამარჯვება მოიპოვეს: ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ს. როზანოვამ („ბურევესტნიკი", 140 სანტიმეტრი), ბირთვის კვრაში — ფ. ანტონოვამ („ბურევესტნიკი", 12 მეტრი და 15 სანტიმეტრი), 800 მეტრზე რბენაში — ე. ალოიანმა („პიშჩევიკი", 2:36,6), 100 მეტრზე რბენაში — ა. ბოიკომ („ბურევესტნიკი" 13,2 წამი); ვაჟთა შორის: სიგრძეზე ხტომაში — ს. ქავთარაძემ (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, 6 მეტრი და 45 სანტიმეტრი), 800 მეტრზე რბენაში — ვ. მუსხელიშვილმა („ბურევესტნიკი", 2:05,1), 100 მეტრზე რბენაში — ლ. ანთაძემ („ლოკომოტივი", 10,9 წამი), ბირთვის კვრაში — ი. ფულუკიძემ („ბურევესტნიკი", 13 მეტრი და 46 სანტიმეტრი), 5.000 მეტრზე რბენაში — ი. უშაკოვმა (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, 15:22,4).

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. სპორტულ სიარულში 10 კილომეტრზე გაიმარჯვა ა. მჭედლიშვილმა, თარჯრბენში 80 მეტრზე ქალთათვის — ლ. ბოიკომ, 400 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის — ა. გუსევმა, ბადროს ტყორცნაში ქალთათვის — ფ. ანტონოვამ, მძლეოსანთა შეჯიბრება გრძელდება.

31 ივლისს ვარსკვლავისებრი ესტაფეტის მონაწილეებმა სხვადასხვა ეტაპიდან თბილისში ჩამოიტანეს პატაკები.

საცურავ აუზში

დაიწყო შეჯიბრება ცურვაში. 31 ივლისს თბილისის ფიზკულტურის სახლის საცურავ აუზში გაიმართა პირველი შეხვედრები. ქალთა შორის 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ს. კალმიკოვა („პიშჩევიკი"), ვაჟთა შორის — ლ. ფროლოვი და ა. მარტიროსიანი. ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში პირველი ადგილი დაიკავეს: ქალთა შორის — ლ. კრილოვამ, ვაჟთა შორის — ვ. მაჩიძმ. ნებისმიერი სტილით ამანათცურვაში 4×100 მეტრზე გაიმარჯვა „პიშჩევიკის" გუნდმა, რომელმაც აჩვენა დრო 4:38,6. გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

ფინალური შეხვედრები

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე შედგა ფინალური შეხვედრები ფრენბურთსა და კალათბურთში საქართველოს პროფკავშირთა თასის მოსაპოვებლად. ფრენბურთში გამარჯვება და გარდამავალი ჯილდო — თასი მოიპოვეს „ბურევესტნიკის" ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. კალათბურთში გაიმარჯვეს ამავე სასპორტო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

* * *

დღეს გაიმართება საქართველოს პროფკავშირთა პირველი საზაფხულო სპარტაკიადის უკანასკნელი შეხვედრები.

გასწორება

გაზეთ „კომუნისტის" 31 ივლისის ნომერში მესამე გვერდზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1955 წლის 29 ივლისის დადგენილებაში რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზით გაპარულა შეცდომა. დადგენილების V თავის მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „1954 წელს 1.121 სამრეწველო საწარმოდან საერთო პროდუქციის გეგმა არ შეუსრულებია 355 საწარმოს, მათ შორის ხარკისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს ხაზით 74-დან 40 საწარმოს". შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დღეს

თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — სიყვარულის ასაკი, ამირანი, სპარტაკი, თბილისი, ისანი (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ვარსკვლავები მოგბზე, **26 კომისრის სახელობის, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — კლოუნის ბედი, **კომკავშირელი** ავარა (I და II სერია), **კოლხიდა** (საზამთრო) —ემირატის დამობა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — წარსულის ლაქები, **ისანი** (საზაფხულო) — დედა, მამა, მსახური და მე, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ქეთო და კოტე, **დიდუბე** (საზამთრო) კაროლა ლამბერტი, **დიდუბე** (საზაფხულო) — მსახიობი ქალი, **კოლმეურნე** — ფანფან ტულპანი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი**—თეთრთოვლა, **კომუნარების ბაღი** — დობილები.

**მცხეთის არტელ